# ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

## განკარგულება № 227

„27“ ივნისი 2017 წ

ქ. თბილისი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს 2013 წლის 5 დეკემბრის №QN1174006 გადაწყვეტილებით განსაზღვრული საიჯარო პირობებით გათვალისწინებული ვალდებულების დროულად შეუსრულებლობის გამო დარიცხული პირგასამტეხლოსაგან შპს „პეპე“-ს (ს/ნ 404980286) გათავისუფლების საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 75-ე მუხლის „დ.ვ“ ქვეპუნქტისა და „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-78 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-14 მუხლის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს 2013 წლის 5 დეკემბრის №QN1174006 გადაწყვეტილებით განსაზღვრული საიჯარო პირობებით გათვალისწინებული ვალდებულების დროულად შეუსრულებლობის გამო დარიცხული პირგასამტეხლოსაგან შპს „პეპეს'' (ს/ნ 404980286) გათავისუფლების საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთვის შესათანხმებლად წარდგენის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2017 წლის 14 ივნისის N21.23.428 განკარგულების შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს 2013 წლის 5 დეკემბრის №QN1174006 გადაწყვეტილებით განსაზღვრული საიჯარო პირობების 3.1 პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის/დარღვევის გამო, ამავე პირობების 12.1 პუნქტის შესაბამისად, დაკისრებული პირგასამტეხლოსაგან 883,20 (რვაას ოთხმოცდასამი ლარი და ოცი თეთრი) ლარის ოდენობით, შპს „პეპეს'' (ს/ნ 404980286) გათავისუფლებაზე.

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ., №6).

საკრებულოს თავმჯდომარე — გიორგი ალიბეგაშვილი